

ფინანსური ანგარიშგება და

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების
კომპილაციის შესახებ

შპს ეს ენდ დი ლიჯისტიკი

2024 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია	9
2. შედგენის საფუძველი	9
2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე	9
2.2. მომზადების საფუძვლები	9
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	10
3.1. უცხოური ვალუტა	10
3.2. ძირითადი საშუალებები	10
3.3. აქტივების გაუფასურება	10
3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11
3.5. კაპიტალი	11
3.6. იჯარა	11
3.7. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	12
3.8. ამონაგების აღიარება	12
3.9. მოგების გადასახადი	12
3.10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
3.11. სავაჭრო ვალდებულებები	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
6. ფულადი სახსრები	15
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	15
9. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	15
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
12. ფინანსური რისკის ფაქტორები	16
13. წინა წლების ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	17
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	17
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	18
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	18

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	19
14. წინა წლების ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	19

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს „ეს ენდ ღი ლოჯისტიკი“-ს ხელმძღვანელობას

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შევადგინეთ შპს „ეს ენდ ღი ლოჯისტიკი“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებები“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან, კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის მოსაზრებას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პაატა შურღაია

მმართველი პარტნიორი

2025 წლის 1-ლი ოქტომბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	31	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
		დეკემბერი	2023	2022
		2024	გადაანგარიშებული	გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		-	-	361
ძირითადი საშუალებები	4	2,240,513	2,133,687	2,217,717
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		2,240,513	2,133,687	2,218,078
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		20,852	10,536	26,401
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		17,125	8,492	206,731
საგადასახადო ავანსი		1,052	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	503,678	694,165	1,205,449
ფული და ფულის ექვივალენტები	6	65,320	87,487	203,905
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		608,027	800,680	1,642,486
მთლიანი აქტივები		2,848,540	2,934,367	3,860,564
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		196,050	111,050	111,050
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,178,143	1,789,565	1,955,093
მთლიანი კაპიტალი		1,374,193	1,900,615	2,066,143
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	1,034,130	864,090	1,247,327
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		1,034,130	864,090	1,247,327
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		5,256	322	31,801
გადასახდელი ხელფასები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	431,876	136,556	458,402
საგადასახადო ვალდებულებები		-	29,250	36,254
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,085	3,534	20,638
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		440,217	169,662	547,095
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,848,540	2,934,367	3,860,565

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	მენიშვნა	31	31	31
		დეკემბერი	დეკემბერი	დეკემბერი
		2024	2023	2022
		გადაანგარიშებული	გადაანგარიშებული	გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		-	-	361
ძირითადი საშუალებები	4	2,240,513	2,133,687	2,217,717
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		2,240,513	2,133,687	2,218,078
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		20,852	10,536	26,401
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		17,125	8,492	206,731
საგადასახადო ავანსი		1,052	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	503,678	694,165	1,205,449
ფული და ფულის ექვივალენტები	6	65,320	87,487	203,905
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		608,027	800,680	1,642,486
მთლიანი აქტივები		2,848,540	2,934,367	3,860,564
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		196,050	111,050	111,050
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,178,143	1,789,565	1,955,093
მთლიანი კაპიტალი		1,374,193	1,900,615	2,066,143
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	1,034,130	864,090	1,247,327
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		1,034,130	864,090	1,247,327
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		5,256	322	31,801
გადასახდელი ხელფასები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	431,876	136,556	458,402
საგადასახადო ვალდებულებები		-	29,250	36,254
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,085	3,534	20,638
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		440,217	169,662	547,095
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,848,540	2,934,367	3,860,565

ფინანსური ანგარიშგება
მპ/ეს ენდ დი ლოჯისტიკი
2024 წლის 31 დეკემბერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	მენიშვნა	წელი 2024	წელი 2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	7,085,386	8,948,274
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(6,107,959)	(7,407,215)
საერთო მოგება		977,427	1,541,059
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		(1,959)	(12,067)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,005,080)	(1,356,429)
საოპერაციო ხარჯები		(1,007,039)	(1,368,496)
საოპერაციო მოგება		(29,612)	172,563
ფინანსური ხარჯები		(76,880)	(67,845)
მოგება/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(18,508)	(162,746)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		(472,535)	(24,185)
მოგება დაბეგვრამდე		(597,535)	(82,213)
მოგების გადასახადის ხარჯი		(2,308)	(11,329)
საანგარიშო პერიოდის მოგება		(599,843)	(93,542)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(599,843)	(93,542)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	წელი 2024	წელი 2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	7,085,386	8,948,274
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(6,107,959)	(7,407,215)
საერთო მოგება		977,427	1,541,059
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		(1,959)	(12,067)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,005,080)	(1,356,429)
საოპერაციო ხარჯები		(1,007,039)	(1,368,496)
საოპერაციო მოგება		(29,612)	172,563
ფინანსური ხარჯები		(76,880)	(67,845)
მოგება/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(18,508)	(162,746)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		(472,535)	(24,185)
მოგება დაბეგვრამდე		(597,535)	(82,213)
მოგების გადასახადის ხარჯი		(2,308)	(11,329)
საანგარიშო პერიოდის მოგება		(599,843)	(93,542)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(599,843)	(93,542)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	111,050	1,955,093	2,066,143
წლის მოგება		(93,542)	(93,542)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(93,542)	(93,542)
		-	-
გამოცხადებული დივიდენდები		(71,986)	(71,986)
		-	-
		-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	111,050	1,789,565	1,900,615
წლის მოგება		(599,843)	(599,843)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(599,843)	(599,843)
		-	-
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	85,000	-	-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		-	-
გამოცხადებული დივიდენდები		(11,579)	(11,579)
		-	-
		-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	196,050	1,178,143	1,374,193

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	111,050	1,955,093	2,066,143
წლის მოგება		(93,542)	(93,542)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(93,542)	(93,542)
			-
გამოცხადებული დივიდენდები		(71,986)	(71,986)
			-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	111,050	1,789,565	1,900,615
წლის მოგება		(599,843)	(599,843)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(599,843)	(599,843)
			-
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	85,000	-	-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			-
გამოცხადებული დივიდენდები		(11,579)	(11,579)
			-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	196,050	1,178,143	1,374,193

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2024	2023
ფული და ფულადი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	87,487	203,905
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავლები მომსახურების მიწოდებიდან	7,454,443	9,233,003
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	42,774
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები - დღგ	161,452	52,294
მთლიანი შემოსავლები	7,615,895	9,328,071
გადახდები მომწოდებლებზე	(4,812,375)	(7,139,167)
საპენსიო გადახდები	(47,624)	(44,729)
გადახდილი ხელფასები	(1,042,948)	(1,036,362)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(307,318)	(209,655)
მივლინების თანხები	(1,060,459)	(374,589)
ბანკის საკომისიო	(10,743)	(21,845)
გადახდილი პროცენტები	(76,880)	(67,845)
სხვა გადახდები	-	(50)
მთლიანი გადახდები	(7,358,347)	(8,894,242)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან - შედეგი	257,548	433,829
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(502,323)	(66,238)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	135,000	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(50,000)	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(417,323)	(66,238)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხები	2,449,946	1,475,607
გადახდილი სესხები	(2,288,076)	(1,864,545)
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-	-
გადახდილი დივიდენდები	(11,000)	(82,000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან - შედეგი	150,870	(470,938)
სალაროს და ბანკს შორის გადატანილი თანხები		
საკურსო სხვაობა	(13,262)	(13,071)
ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს	65,320	87,487

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ღარი	2024	2023
ფული და ფულადი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	87,487	203,905
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავლები მომსახურების მიწოდებიდან	7,454,443	9,233,003
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	42,774
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები - დღგ	161,452	52,294
მთლიანი შემოსავლები	7,615,895	9,328,071
გადახდები მომწოდებლებზე	(4,812,375)	(7,139,167)
საპენსიო გადახდები	(47,624)	(44,729)
გადახდილი ხელფასები	(1,042,948)	(1,036,362)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(307,318)	(209,655)
მივლინების თანხები	(1,060,459)	(374,589)
ბანკის საკომისიო	(10,743)	(21,845)
გადახდილი პროცენტები	(76,880)	(67,845)
სხვა გადახდები	-	(50)
მთლიანი გადახდები	(7,358,347)	(8,894,242)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან - შედეგი	257,548	433,829
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(502,323)	(66,238)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	135,000	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(50,000)	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(417,323)	(66,238)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხები	2,449,946	1,475,607
გადახდილი სესხები	(2,288,076)	(1,864,545)
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-	-
გადახდილი დივიდენდები	(11,000)	(82,000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან - შედეგი	150,870	(470,938)
სალაროს და ბანკს შორის გადატანილი თანხები		
საკურსო სხვაობა	(13,262)	(13,071)
ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს	65,320	87,487

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ეს ენდ დი ლოჯისტიკი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №6. კომპანია დაფუძნებულია 2013 წელს და მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საკუთარი სატვირთო ავტომობილებით საერთაშორისო და ადგილობრივი სატვირთო გადაზიდვები.

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

დამფუძნებელი	რეგისტრაციის ადგილი	2024 წლის 31 დეკემბერი
42001009400, გიორგი ბოლქვაძე	საქართველო	100%

2024 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9306 ლარს.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავტო და სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი ¹
შენობა-ნაგებობები	50 წელი

3.3. აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება

¹ განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც მომცხადდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალს შეადგენს 196,050 ლარი.

3.6. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და

მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.8. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

3.9. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმომობილი.

3.10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასაზუსტებლად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებული.

3.11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

4. ძირითადი საშუალებები

ლარი	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიაცი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
ღირებულება 01.01.2023	79,805	43,998	37,382	10,820	3,051,446	11,509	3,234,960
შემოსვლა	20,621	-	5,019	1,242	320,815	-	347,697
გასვლა	-	-	(6,824)	(5,076)	(189,929)	-	(201,829)
31 დეკემბერი 2023	100,426	43,998	35,577	6,986	3,182,332	11,509	3,380,828
დაგროვილი ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	6,791	11,742	14,295	6,436	966,470	11,509	1,017,243
წლიური ცვეთა	2,557	4,400	3,651	743	313,731	-	325,082
რეალიზ. ძირ. სამ. დაგროვილი ცვეთა 2023	-	-	(2,460)	(3,773)	(88,951)	-	(95,184)
31 დეკემბერი 2022	9,348	16,142	15,486	3,406	1,191,250	11,509	1,247,141
წმინდა საბალანსო ღირებულება							
01 იანვარი 2023	91,078	27,856	26,915	8,656	2,181,011	-	2,217,717
31 დეკემბერი 2023	91,078	27,856	20,091	3,580	1,991,082	-	2,133,687
ისტორიული ღირებულება							
ღირებულება 01.01.2024	100,426	43,998	35,577	6,986	3,182,332	11,509	3,380,828
შემოსვლა	-	-	-	1,085	626,925	-	628,010
გასვლა	-	-	-	-	(424,752)	-	(424,752)
31 დეკემბერი 2024	100,426	43,998	35,577	8,071	3,384,681	11,509	3,572,753
დაგროვილი ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 01.01.2024	9,348	16,142	15,486	3,406	1,191,250	11,509	1,247,141
წლიური ცვეთა	3,658	4,400	3,948	877	322,362	-	335,245
რეალიზ. ძირ. სამ. დაგროვილი ცვეთა 2024	-	-	-	-	(238,638)-	-	(238,637)
31 დეკემბერი 2024	13,006	20,542	19,434	4,283	1,274,975	-	1,332,240
წმინდა საბალანსო ღირებულება							
01 იანვარი 2024	87,420	23,456	16,143	3,580	1,991,082	11,509	2,133,687
31 დეკემბერი 2024	87,420	23,456	16,143	3,788	2,109,706	11,509	2,240,513

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2024 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 88 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა, 2022 წლის ბოლოსთვის დებიტორთა რაოდენობა შეადგენდა 54-ს.

დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	386,053	694,165
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	117,625	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	503,678	694,165

6. ფულადი სახსრები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული სალაროში	14,096	14,096
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	15,122	13,587
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	36,102	59,804
სულ ფულადი სახსრები	65,320	87,487

უცხოური ვალუტის საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი შედგება 12,581.30 აშშ დოლარისგან.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული, ფიზიკური პირების მიმართ	431,876	136,556
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,085	3,534
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	434,961	140,090

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი	წელი 2024	წელი 2023
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან - 18 %	498,590	8,948,274
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან	6,586,796	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	7,085,386	8,948,274

9. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	წელი 2024	წელი 2023
სატერმინალ მომსახურება	1,706,832	2,241,998
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი - ინდ. მეწარმეები	1,458,870	2,512,573
საწვავის ხარჯი	783,606	914,639
მძღოლებისა და ბროკერების შრომის ანაზღაურების ხარჯი	629,627	408,857
გზათსარგებლობის ბარათების და სხვა ხარჯები	567,388	279,650

სატვირთო ავტომობილების ცვეთის ხარჯი	309,622	313,731
მივლინების ხარჯი	247,742	429,349
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	203,884	97,673
სატვირთო ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯები	179,010	184,419
გადამზიდავის პასუხისმგებლობის დაზღვევა	21,378	24,326
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6,107,959	7,407,215

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	წელი 2024	წელი 2023
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	709,085	924,975
საიჯარო ქირა	50,700	-
სხვა ხარჯები	38,290	311,329
ბუღალტრული მომსახურების ხარჯები	29,845	14,500
სამეურნეო ხარჯები	26,794	3,448
დაზღვევის ხარჯები	26,731	1,417
ცვეთის ხარჯები	25,623	12,189
მივლინების ხარჯები	25,072	-
საგადასახადო ხარჯები	22,038	28,096
საპენსიო ხარჯები	11,909	18,107
კომუნიკაციის ხარჯები	11,859	5,735
კომუნალური ხარჯები	11,598	13,628
ბანკის საკომისიო	10,998	22,234
კომპიუტერის ხარჯები	2,721	271
მარკეტინგის ხარჯი	1,959	-
ავტომობილის ხარჯები	1,817	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,007,039	1,355,929

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

12. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში და

არარეზიდენტ პირებთან არსებული დებიტორული დავალიანებებიდან, რომლებიც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეზო ვალდებულება.

13. წინა წლების ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოვლინდა შეცდომები. 2022 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას კონკრეტული ხარჯი აღიარებული იყო არასწორი პერიოდის მიხედვით, რის გამოც დარღვეული იყო ხარჯების დარიცხვის პრინციპი. ამასთანავე, ბალანსის მუხლებში მოხდა გარკვეული კორექტირებები. მიმდინარე წლის ანგარიშგების მომზადებისას გამოვლენილი შეცდომა სრულად გასწორდა, რამაც გამოიწვია ფინანსური მაჩვენებლების ცვლილება. შემდეგ ცხრილებში შეჯამებულია კორექტირებები, რომლებიც გაკეთდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2022 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
დაგროვილი მოგება / (ზარალი)	1,766,767	188,326	1,955,093
მთლიანი კაპიტალის ეფექტი		188,326	
ძირითადი საშუალებები	2,302,761	(84,683)	2,218,078
მარაგები	32,684 -	(6,283)	26,401
გაცემული ავანსები	183,909 6	22,822	206,731
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,167,619	37,830	1,205,449
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	189,802	14,103)	203,905
მთლიანი აქტივების ეფექტი		(16,211)	
გრძელვადიანი სესხები	1,474,433	(227,106)	1,247,327

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	524,525	(9,231)	515,294
მიღებული ავანსები	-	31,801	31,801
მთლიანი ვალდებულებების ეფექტი		204,537	

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	202 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
შემოსავალი	11,132,358	-	11,132,358
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	(9,476,019)	(9,476,019)
ადმინისტრაციული ხარჯები	(10,673,743)	(9,517,461)	(1,156,282)
ფინანსური ხარჯები	-	(63,609)	(63,609)
ფინანსური შემოსავალი	-	13,002	13,002
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(114,285)	367,500	(118,162)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(189,094)	196,810	7,716
ეფექტი პერიოდის შედეგზე		183,768	

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2023 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
დაგროვილი მოგება / (ზარალი)	1,794,392	(4,827)	1,789,565
მთლიანი კაპიტალის ეფექტი		(4,827)	
ძირითადი საშუალებები	2,137,286	(3,599)	2,133,687
მარაგები	10,536	-	10,536
გაცემული ავანსები	9,221	(729)	8,492
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	694,165	-	694,165
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	87,487	-	87,487
მთლიანი აქტივების ეფექტი		(4,327)	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,032,930.11	500	1,033,430
მიღებული ავანსები	322	-	322
მთლიანი ვალდებულებების ეფექტი		500)	

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	203 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
შემოსავალი	8,948,274	(252)	1,739,088
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7,406,963)	(252)	(1,522,276)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	(12,067)	-	(12,067)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,355,929)	(500)	(1,356,429)
მოგების გადასახადის ხარჯი	(11,329)	-	(11,329)
ფინანსური შემოსავალი	(67,845)	-	(67,845)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(24,185)	-	(24,185)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(162,746)	-	(162,746)
ეფექტი პერიოდის შედეგზე		751	

14. წინა წლების ფინანსური ანგარიშგების გადანგარიშება

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.